განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

არქიტექტურა (ბაკალავრიატი)

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი

17 ნოემბერი 2017

დასკვნის წარდგენის თარიღი

27 ნოემბერი 2017

თბილისი
2017

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**მ.პ.ს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი**
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211359448
დაწესებულების სახე	**უნივერსიტეტი**

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამა**
განათლების საფეხური	**ბაკალავრიატი**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	**არქიტექტურის ბაკალავრი 1101**
სწავლების ენა	**ქართული**
კრედიტების რაოდენობა	**240**
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	**ახალი**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკოლოზ შავიშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა იამვილი - სამხატვრო აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი სულაბერიძე -არტსტუდიო, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ქურდიანი - სამხატვრო აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი წამყვანი კერძო უმაღლესი სასწავლებელია საქართველოში. იგი გამოირჩევა თანამედროვე სასწავლო გარემოთი, სტუდენტთა დასაქმების მაღალი მაჩვენებლითა და დაფინანსებების განსაკუთრებული მეთოდით, რომლის საშუალებითაც უმაღლესი განათლების მიღება მოტივირებული ახალგაზრდებისთვის ხელმისაწვდომია. თავისუფალი უნივერსიტეტი შვიდ სკოლას აერთიანებს:
    1. ბიზნესის სკოლა (ESM)
    2. აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი
    3. სამართლის სკოლა
    4. კომპიუტერული მეცნიერებებისა და მათემატიკის სკოლა (MACS)
    5. ფიზიკის სკოლა
    6. მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლა
    7. ვიზუალური ხელოვნებისა და დიზაინის სკოლა (VADS)

- უნივერსიტეტის გაცხადებული მისიაა შექმნას სწავლის, სწავლებისა და კვლევის ისეთი გარემო, რომელიც საუკეთესო იქნება საქართველოში და ხელმისაწვდომი გამორჩეული ახალგაზრდებისთვის, და ჩამოუყალიბოს მათ თავისუფალ აზროვნებაზე დაფუძნებული ღირებულებები, რათა შეძლონ ორიენტირება და ადაპტირება ნებისმიერ გარემოში, მიიღონ მნიშნელოვანი გადაწყვეტილებები, შემოქმედებითად მიუდგნენ გამოწვევებს, რომელსაც სთავაზობს თანამედროვე, სწრაფად ცვალებადი სამყარო.

- არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება ვიზუალური ხელოვნებისა და დიზაინის სკოლა-ში (VADS). იგი უნივერსიტეტის შედარებით ახალი ნაწილია, სტუდენტთა პირველ ნაკადი მან 2014 წელს მიიღო. სკოლა შეიქმნა Rhode Island School of Design-ის, Carnegie Mellon University-ს და ევროპული სახელოვნებო სკოლების გამოცდილების გაზიარების მაგალითზე. სწავლების პრინციპი ინტერდისციპლინარულია და საბაზო განათლება სახვითი ხელოვნებისა და დიზაინის სტუდენტებს ერთნაირი აქვთ.

- არქიტექტურის ბაკალავრიას საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ორიენტირებულია სტუდენტს მისცეს ფართო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა არქიტექტურაში; სტუდენტმა კრიტიკულად გაიაზროს არქიტექტურაში არსებული მიმდინარეობები, შეძლოს არქიტექტურაში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, შეეძლოს თანამედროვე ქალაქის წინაშე მდგარი აქტუალური პრობლემების გააზრება და პრობლემის მოგვარების სხვადასხვა ალტერნატივის შეთავაზება, შეეძლოს კვლევის, კვლევაზე დაფუძნებული შენობის არქიტექტურის პროექტირების და არქიტექტურული პროექტირების მენეჯმენტის უნარების განვითარება, ფლობდეს არქიტექტურული ნამუშევრის გამოხატვის სხვადასხვა პროგრამას და ტექნიკას, რაც ასე აუცილებელია არქიტექტურული იდეის სწორად გადმოსაცემად. პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია.

- მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უმაღლესი არქიტექტურული განათლების მიღება შესაძლებელი გახდა მრავალ არსებულ არქიტექტურულ უმაღლესი განათლების სახელმწიფო თუ კერძო სასწავლებელში, თავისუფალი უნივერსიტეტის არქიტექტურის ბაკალავრიატის პროგრამის ავტორები თვლიან, რომ მათი წარდგენილი პროგრამა

კონკურენტუნარიანი იქნება, და მოკლე დროში მისი კურსდამთავრებულები შეძლებენ წამყვანი ადგილის დაკავებას დასაქმების ბაზარზე.

- პროგრამის ხელმძღვანელი აშშ-ს მოქალაქეა. უნივერსიტეტსა და პროგრამის ხელმძღვანელს შორის არსებობს შეთანხმება, რომლის პირობები მხარეთა შორის უკვე მოლაპარაკებულია: იგი იცხოვრებს საქართველოში თუნდაც პროგრამის მოქმედების პირველი ოთხი წლის პერიოდში, რაც დადასტურდა მასთან Videocall-ით გასაუბრებისას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**
- აკრედიტაციის ექსპერტა ჯგუფი იმყოფებოდა თავისუფალ უნივერსიტეტში 2017 წ. 17 ნოემბერის 10:00-დან 18:00-მდე. ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, მ.შ. ხარისხის სამსახურს, თვითშეფასების ჯგუფს, აკადემიურ პერსონალს და იმ ფაკულტეტის, სადაც პროგრამა უნდა განხორციელდეს - ვიზუალური ხელოვნებისა და დიზაინის სკოლის (VADS) - სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს, აგრეთვე ჰქონდა ვიდეო ჩართვა პროგრამის ამერიკელ ავტორთან, რომელიც იმყოფებოდა ა.შ.შ-ში. ვიზიტის განმავლობაში ჯგუფს მუშაობის სრული შესაძლებლობა მიეცა, უნივერსიტეტის წარმომადგენელთა სახით მათ დახვდათ ახალი საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ ინტერესითა და ენთუზიაზმით აღსავსე ჯგუფი. გამოჩნდა, რომ თავისუფალი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა დაკომპლექტებულია კვალიფიცირებული და კომპეტენტური სპეციალისტებით, იგივე ითქმის მომავალ პროგრამაში ჩასართველ აკადემიურ პერსონალზე, ვისთანაც ექსპერტთა ჯგუფს შეხვერდა მოუწია. აღსანიშნავია, რომ შემოთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთი წამყვანი მონაწილე იქნება თავად თავისუფალი უნივერსიტეტის რექტორი, პროფესიით არქიტექტორი, რომელიც, მისივე განმარტებით, აქტიურად იყო ჩართული პროგრამის მოზადებაში, მასზე სრულყოფილ, დეტალურ ინფორმაციას ფლობს, კვალიფიცირებულად და დამაჯერებლად იცავს მის შინაარს - რაც ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამის დადებით მხარედ მიიჩნია.

- უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გააცნო ექსპერტთა ჯგუფს სასწავლო დაწესებულების მოკლე ისტორია და მისია, ისაუბრა მასზე როგორც საქართველოს საუკეთესო უმაღლეს სასწავლებელზე - რომელიც უნივერსიტეტის ვებსაიტის გვერდზე „მისია/ხედვა" გაცხადებულია როგორც „განათლების ლიდერი საქართველოში, რომელიც ორიენტირებულია ინოვაციებზე და პრაქტიკაზე". უნივერსიტეტის ამბიციური გეგმაა „შექმნას სწავლის, სწავლებისა და კვლევის ისეთი გარემო, რომელიც საუკეთესო იქნება საქართველოში და ხელმისაწვდომი გამორჩეული ახალგაზრდებისთვის". ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო თავისუფალი უნივერსიტეტის არსებულ აუდიტორიებს, კაბინეტებს, ლაბორატორიებს, ბიბლიოთეკას, აგრეთვე ცალკე მდგომ შენობაში - VADS-ის საკლასო და სასტუდიო სათავსოებს, რომლებიც მომავალი პროგრამისთვისაა განკუთვნილი; ამ ყველაფრიდან დარჩა მთაბეჭდილება, რომ თავისუფალი უნივერსიტეტი მზადაა სივრცობრივი, ინფრასტრუქტურული და ინტელექტუალური რესურსებით მიიღოს და წარმატებით განავითაროს ახალი საგანმანათლებლო პროგრამა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
- არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა პრაქტიკაზე ორიენტირებულ სწავლებას ეყრდნობა, მასში ინტეგრირებულია არქიტექტურული პროექტირების სტუდიური სწავლება (84 ECTS), არქიტექტურული აზროვნების კლასები (15 ECTS), არქიტექტურული ძირითადი განათლების სხვა საგნები (52 ECTS), ზოგად საუნივერსიტეტო დისციპლინები (50 ECTS), არქიტექტურის ზოგადი და საბაზო

განათლების საგნები (20 ECTS), პრაქტიკული განათლება (7 ECTS) და არჩევითი საგნები (12 ECTS) - ჯამში 240 ECTS.

- ზოგადი საგნებიდან ინგლისური ენა ისწავლება მხოლოდ პირველი კურსის პირველ სემესტრში. სხვა ზოგადსაუნივერსიტეტო საგნები განაწილებულია პირველიდან მე-5 სემესტრის ჩათვლით და უზრუნველყოფს დაბალანსებულ სასწავლო პროცესს.
- პროგრამის წინაპირობაში ინგლისური ენა ცალკე გამოყოფილი არ არის. თავად პროგრამის მთავარ საგნებში კი, მათ შორის საინჟინრო საგნებში, სასწავლო ლიტერატურა მხოლოდ ინგლისურენოვანია, იმ დროს როცა მათ მნიშვნელოვან ნაწილში სასწავლო ენათ მითითებულია „ინგლისური და ქართული". კერძოდ, არქიტექტურის აზროვნების ოთხივე (15 ECTS) და არქიტექტურის სტუდიის შვიდივე თანმიმდევრილი კურსი (84 ECTS) - ჯამში 99 ECTS - არის ინგლისურ ქართული.

- როგორც აღინიშნა, სტუდიოებისა და აზროვნების კლასებისთვის შემოთავაზებულია ორენოვანი სწავლება. მათთვის გათვალისწინებული მაღალხარისხოვანი, საერთაშორისოდ აღიარებული ლიტერატურული წყაროები კი მხოლოდ ინგლისურენოვანია. სასტუდიო მუშაობის პრინციპმა, აზროვნების კლასებმა და ლიტერატურულმა წყაროებმა ნამდვილად უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა, და პროგრამით დასახული მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევა. თუმცა, დამატებით განმარტებას ითხოვს ის, თუ როგორ დაძლევენ ურთულეს სალექციო დატვირთებს სტუდენტები ინგლისურენოვანი წინაპირობის გარეშე.

- აგრეთვე ზოგიერთ ქართულენოვან საგანში, მაგ., შენობის, გარემოს მართვის სისტემებში, მხოლოდ ინგლისურ ენოვანი ლიტერატურაა მითითებული. იგი ძალზედ სპეციფიკურია და რთულად დასაძლევი.

- უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის განმარტებით, ზემოაღნიშნული ენობრივი ბარიერი გადაილახება სტუდენტების მიერ ინგლისური ენის ცოდნის მაღალი დონით. მათი ინფორმაციით, სტატისტიკურად პირველკურსელთა 93% თუნდაც B1 დონეზე ფლობს ინგლისურს. არქიტექტორთა დაგეგმილ მცირე რაოდენობის მიღების გამო - წლიურად 15, მაქსიმუმ 20 კაცი, დანარჩენი 7%-ის, ანუ ინგლისურის სუსტად მცოდნეთა რიცხვი სულ 1 ან 2 სტუდენტი იქნება, და, თავისუფალი უნივერსიტეტის რექტორის აზრით, პირველი კურსის, პირველი სემესტრის საგანი „ინგლისური ენა" მათაც ადვილად აიყვანს B2-ის დონემდე.

- ვიზიტის დროს წამოიჭრა არჩევითი საგნების დაჯგუფების დაზუსტების საკითხი. აკადემიურმა პერსონალმა განგვიმარტა, რომ არჩევითი არის ყველა ის საგანი თავისუფალი უნივერსიტეტის სხვა პროგრამებიდან, რომელთა საერთო სია არსებობს და სტუდენტს აქვს საშუალება მითითებულ სემესტრებში თავად შეარჩიოს, რა უნდა ისწავლოს დამატებით იმ სავალდებულო საგნებთან ერთად, რომლებიც კურიკულუმში მითითებულია. აქვე იქნა განმარტებული, რომ პროგრამაში არჩევით საგნებზე 12 კრედიტზე მეტი სივრცე არ იყო.

- **რეკომენდაციები**
- პროგრამის ამერიკელი ხელმძღვანელის საქართველოში მომავალი საქმიანობა, ქართულ-ინგლისური სტუდიოები და აზროვნების კლასები, მისასალმებელია იმ

პირობით, რომ პროგრამაში სტუდენტთა მიღების წინაპირობად გამოკვეთილად გაჩნდება ინგლისური ენის ცოდნა არა ნაკლებ B2 დონეზე.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- სასურველია რომ, რადგან თავისუფალ უნივერსიტეტს სულ რვა მოქმედი პროგრამა აქვს, მათი ჩამონათვალი მაინც ყოფილიყო ხელმისაწვდომი არქიტექტურის სტუდენტთათვის. ექსპერტა ჯგუფის აზრით, შესაძლებელი იქნებოდა არჩევით საგნებზე გამოყოფილი ჯამური კრედიტები - სულ 12 - გაზრდილიყო, თუნდაც ზოგიერთი სპეციალური საგნების კრედიტთა რაოდენობის ცოტათი შემცირების ხარჯზეც კი.

- მინაარსობრივად რთული, დატვირთული ინგლისურენოვანი სპეციალიზირებული ლიტერატურის პირობებში ყველა სტუდენტს გაუჭირდება პროგრამის თანაბრად დაძლევა. მით უმეტეს, შეხვედრისას VADS-ის ერთ-ერთმა სტუდენტმა განაცხადა, რომ ამერიკელ ლექტორს თარჯიმანი ჰყავდა. პროგრამის განხორციელებისას სტუდიოებისა და აზროვნების კლასების წამყვანებს ვურჩევდით წიგნების სათანადო ნაწილების ბლოკურ (თავებისა და გვერდების მიხედვით) ცალ-ცალკე, თანდათანობით და მიყოლებით თარგმნას, რასაც შეხვედრისას დაეთანხმა პროგრამის ხელმძღვანელი და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
- არქიტექტურის ბაკალავრიატის პროგრამის მომზადებისთვის, პროგრამის ავტორთა განმარტებით, გამოყენებულია მსოფლიოს რამოდენიმე წამყვანი არქიტექტურული სკოლის კურიკულუმი, მათ შორის: Massachusetts Institute of Technology(MIT); UCL (University College London, Bartlett School of Architecture); ETH Zurich; Politecnico di Milan. ექსპერტა ჯგუფმა ყურადღებით შეისწავლა არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი ყველა სილაბუსი, გარდა ზოგად საუნივერსიტეტო დისციპლინებისა, და მათ საფუძველზე ადასტურებს აღნიშნული პროგრამის შესაბამისობას საუკეთესო პრაქტიკასთან.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღნიშნული პროგრამა შემოთავაზებულია თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ, რომელიც ერთ-ერთი წამყვანი კერძო უმაღლესი სასწავლებელია საქართველოში. იგი გამოირჩევა თანამედროვე სასწავლო გარემოთი, სტუდენტთა დასაქმების მაღალი მაჩვენებლითა და დაფინანსებების განსაკუთრებული მეთოდით, რომლის საშუალებითაც უმაღლესი განათლების მიღება მოტივირებული ახალგაზრდებისთვის ხელმისაწვდომია. თავისუფალი უნივერსიტეტი შვიდ სკოლას აერთიანებს: ○ ბიზნესის სკოლა (ESM) ○ აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი ○ სამართლის სკოლა ○ კომპიუტერული მეცნიერებებისა და მათემატიკის სკოლა (MACS) ○ ფიზიკის სკოლა ○ მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლა ○ ვიზუალური ხელოვნებისა და დიზაინის სკოლა (VADS) უნივერსიტეტის გაცხადებული მისიაა შექმნას, სწავლის, სწავლებისა და კვლევის ისეთი გარემო, რომელიც საუკეთესო იქნება საქართველოში და ხელმისაწვდომი გამორჩეული ახალგაზრდებისთვის, დაჩამოუყალიბოს მათ თავისუფალ აზროვნებაზე დაფუძნებული ღირებულებები, რათა შეძლონ ორიენტირება და ადაპტირება ნებისმიერ გარემოში, მიიღონ მნიშნელოვანი გადაწყვეტილებები, შემოქმედებითად მიუდგნენ გამოწვევებს, რომელსაც სთავაზობს თანამედროვე, სწრაფად ცვალებადი სამყარო. არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება ვიზუალური ხელოვნებისა და დიზაინის სკოლა-ში (VADS). მისი მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ორიენტირებულია სტუდენტს მისცეს ფართო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა არქიტექტურაში; სტუდენტმა კრიტიკულად გაიაზროს არქიტექტურაში არსებული მიმდინარეობები, შეძლოს არქიტექტურაში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, შეეძლოს თანამედროვე ქალაქის წინაშე მდგარი აქტუალური პრობლემების გააზრება და პრობლემის მოგვარების სხვადასხვა ალტერნატივის შეთავაზება, შეეძლოს კვლევის, კვლევაზე დაფუძნებული შენობის არქიტექტურის პროექტირების და არქიტექტურული პროექტირების მენეჯმენტის

უნარების განვითარება, ფლობდეს არქიტექტურული ნამუშევრის გამოხატვის სხვადასხვა პროგრამას და ტექნიკას, რაც ასე აუცილებელია არქიტექტურული იდეის სწორად გადმოსაცემად.

პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უმაღლესი არქიტექტურული განათლების მიღება შესაძლებელი გახდა მრავალ არსებულ არქიტექტურულ უმაღლესი განათლების სახელმწიფო თუ კერძო სასწავლებელში, თავისუფალი უნივერსიტეტის არქიტექტურის ბაკალავრიატის პროგრამის ავტორები თვლიან, რომ მათი წარდგენილი პროგრამა კონკურენტუნარიანი იქნება, და მოკლე დროში მისი კურსდამთავრებულები შეძლებენ წამყვანი ადგილის დაკავებას დასაქმების ბაზარზე.

აღსანიშნავია რომ, პროგრამის ხელმძღვანელი აშშ-ს მოქალაქეა. რექტორის განმარტებით, უნივერსიტეტსა და პროგრამის ხელმძღვანელს შორის არსებობს შეთანხმება, რომლის პირობები მხარეთა შორის უკვე მოლაპარაკებულია: იგი იცხოვრებს საქართველოში თუნდაც პროგრამის მოქმედების პირველი ოთხი წლის პერიოდში. რაც დადასტურდა მასთან Videocall-ით გასაუბრებისას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თავისუფალი უნივერსიტეტის ვებგვერდი. - http://freeuni.edu.ge/ge/misiionvision
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არქიტექტურის ბაკალავრიატის პროგრამის მომზადებისთვის, გამოყენებულია მსოფლიოს რამოდენიმე წამყვანი არქიტექტურული სკოლის კურიკულუმი, მათ შორის: Massachusetts Institute of Technology(MIT); UCL (University College London, Bartlett School of Architecture); ETH Zurich; Politecnico di Milan;

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკრედიტაციის ჯგუფის წევრები მივიდნენ ერთობლივ დასკვნამდე, რომ წარმოდგელი პროგრამა თავისი სტრქუქტურით, სწავლებაში გამოყენებული მეთოდებით, ბალანსით, რომელიც დაცულია როგორც სპეციალობისა და ზოგადსაუნივერსიტეტო საგნებს, ასევე სავალდებულო და არჩევით საგნებს და თავისუფალ კომპონენტებს შორის, სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. ჩვენს მიერ შესწავლილი დოკუმენტაციის, გასაუბრებებისა და ვიზიტის შედეგად გამოიკვეთა, რომ თავისუფალი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ფლობს სრულ ინფორმაციას აღნიშნული პროგრამის შესახებ, თავად არის აქტიურად ჩაბმული მასში (უნ-ტის რექტორი, პროფესიით არქიტექტორი, პროგრამის მნიშვნელოვანი სილაბუსების ავტორიცაა და წაიყვანს ძირითად პროგრამულ დისციპლენებს), მხარს უჭერს მის შემოღებას და მზადაა უნივერსიტეტის სათანადო ინფრასტრუქტურული, სივრცული, მატერიალური დაფინანსური რესურსები მიმართოს მისი წარმატებიტ ასამუშავებლად. აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს როგორც საბაზისო არქიტექტურული ცოდნის ჩამოყალიბებას, ასევე სივრცული არქიტექტურული და ურბანული აზროვნების განვითარებას, ინოვაციებისკენ სწრაფვას და შედეგად მაღალი კომპეტენციის მქონე ბაკალავრების გამოშვებას. თავისუფალი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა შრომით ბაზარზე მოწყობის არსებული პრაქტიკიდან (მუშაობს კურსდამთავრებულთა 95%, ზოგი სპეციალობის კი 100%), უნივერსიტეტის კარიერული განვითარების მენეჯერის და სტუდენტებთან და აბიტურიენტებთან ურთიერთობის კოორდინატორის, სამსახურის გამართული მუშაობიდან, აწყობილი დამსაქმებელთან საკონტაქტო ბაზიდან გამომდინარე ახალი პროგრამის კურსდამთავრებულებიც უზრუნველყოფილები იქნებიან სამუშაოთი. არქიტექტურის ბაკალავრიატის შემოთავაზებული პროგრამის ყველა კომპონენტის შინაარსი, სწავლების მეთოდები და კრედიტების მოცულობა სრულად უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას ზოგადი საგნებიდან ინგლისური ენა ისწავლება მხოლოდ პირველი კურსის პირველ სემესტრში. სხვა ზოგადსაუნივერსიტეტო საგნები განაწილებულია პირველიდან მე-5 სემესტრის ჩათვლით. და უზრუნველყოფს დაბალანსებულ სასწავლო პროცესს. ვიზიტის დროს, წამოიჭრა არჩევითი საგნების დაჯგუფების დაზუსტების საკითხი. აკადემიურმა პერსონალმა განგვიმარტა რომ არჩევითი არის ყველა ის საგანი

თავისუფალი უნივერსიტეტის სხვა პროგრამებიდან, რომელთა საერთო სია არსებობს და სტუდენტს აქვს საშუალება მითითებულ სემესტრებში თავად შეარჩიოს, რა უნდა ისწავლოს დამატებით იმ სავალდებულო საგნებთან ერთად, რომლებიც კურიკულუმში მითითებულია. აქვე იქნა განმარტებული, რომ პროგრამაში არჩევით საგნებზე 12 კრედიტზე მეტი სივრცე არ იყო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში. ○ პროგრამა ○ სილაბუსები ○ გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა პრაქტიკაზე ორიენტირებულ სწავლებას ეყრდნობა, მასში ინტეგრირებულია არქიტექტურული პროექტირების სტუდიური სწავლება (84 ECTS), არქიტექტურული აზროვნების კლასები (15 ECTS), არქიტექტურული ძირითადი განათლების სხვა საგნები (52 ECTS),

ზოგად საუნივერსიტეტო დისციპლინები (50 ECTS), არქიტექტურის ზოგადი და საბაზო განათლების საგნები (20 ECTS), პრაქტიკული განათლება (7 ECTS) და არჩევითი საგნები (12 ECTS). ჯამში (240 ECTS).
პროგრამაის წინაპირობაში ცალკე გამოყოფილი არ არის ინგლისური ენა. თავად პროგრამის მთავარ საგნებში კი, მათ შორის საინჟინრო საგნებში სასწავლო ლიტერატურა ინგლისურენოვანია. კერძოდ, არქიტექტურის აზროვნების ოთხივე (15 ECTS) და არქიტექტურის სტუდიის შვიდივე თანმიმდევრილი კურსი (84 ECTS) არის ინგლისურ ქართული. ჯამში 99 (ECTS)

სტუდიოები და აზროვნების კლასები გათვალისწინებულია ორ ენაზე და მაღალხარისხოვანი, საერთაშორისოდ აღიარებული ლიტერატურული წყაროებიც ინგლისურ ენოვანია. პროგრამის ამ კომპონენტებმა ნამდვილად უნდა უზრუნველყოს პროგრამით დასახული მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევა. თუმცა, დამატებით განმარტებას ითხოვს თუ, როგორ დაძლევენ ურთულეს სალექციო დატვირთებს სტუდენტები ინგლისურ ენოვანი წინაპირობის გარეშე.

აგრეთვე ქართულენოვან საგნებში შენობის, გარემოს მართვის სისტემებშიც მხოლოდ ინგლისურ ენოვანი ლიტერატურაა მითითებული. იგი ძალზედ სპეციფიკურია და რთულად დასაძლევი.

პროგრამის ავტორთა განმარტებით, ზემოაღნიშნული ენობრივი ბარიერი გადაილახება სტუდენტების მიერ ინგლისური ენის ცოდნის მაღალი დონით.

სტატისტიკურად, პირველკურსელთა 93% თუნდაც B1 დონეზე ფლობს ინგლისურს. არქიტექტორთა დაგეგმილ მცირე რაოდენობის მიღებაში - წლიურად 15, მაქსიმუმ 20 კაცი წელიწადში დანარჩენის, ანუ ინგლისურის სუსტად მცოდნეთა რიცხვი, სულ 1 ან 2 სტუდენტი იქნება, და, თავისუფალი უნივერსიტეტის რექტორის აზრით, პირველი კურსის, პირველი სემესტრის საგანი „ინგლისური ენა" მათაც ადვილად მიიყვანს B2-ის დონემდე.
აკამედიურ და მოწვეულ პერსონალთან შეხვედრაზე დაისვა კითხვები საუნივერსიტეტო ზოგადი კურსის ლიბერალურ მიდგომასთან დაკავშირებით, სადაც ანტროპოლოგიის პროფესორმა ახსნა, რომ ორი კურსი სპეციალურად შექმნა თავისუფალი უნივერსიტეტისთვის. კურსის ნახევარი ეთმობა ბიოლოგიურ ანთროპოლოგიას, ხოლო მეორე ნაწილი ფსიქოლოგიურ, სოციალურ, კულტურულ..? მეთოდოდლოგია ანგლო-საქსონური აირჩია და საყოველთაოა მთელი პირველი კურსისთვის. სამწუხაროდ, არქიტექტორებისთვის ანტროპომეტრია და ერგონომიკა უფრო რელევანტური იქნებოდა, თუმცა უნივერსიტეტის მიდგომაც სავსებით მისაღებია, სტუდენტთა მობილობის გათვალისწინებით. შეკითხვაზე - ლიტერატურა და ხელოვნება სასწავლო კურიკულუმში რა კულტურებსა და პერიოდებს მოიცავს?
პასუხია - დასავლურს, საიდანაც ჩვენ გამოვყავით 12 ეპოქა და განვიხილავთ თუ როგორ ხედავენ ადამიანებს ამ 12 ეპოქის კულტურულ კონტექქსტში და როგორ ვითარედება დასავლური აზროვნება ხელოვნების მაგალითზე.

აკრედიტაციის ჯგუფის წევრთათვის აღნიშნული განმარტება დამაკმაყოფილებელი იყო, თუმცა აქვე ავღნიშნეთ, რომ კარგი იქნებოდა არქიტექტორებისათვის სხვადასხვა კულტურული კონტექსტების შესწავლასთან ერთად მიგვეწოდებინა სამშენებლო ფიზიკის კურსიდან ინსოლაცია, ოპტიკა და განათება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში. ○ პროგრამა ○ სილაბუსები ○ გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან ○ გასაუბრება სტუდენტებთან, და კურსდამთავრებულებთან
რეკომენდაციები: ○ პროგრამის ამერიკელი ხელმძღვანელის საქართველოში მომავალი საქმიანობა მისასალმებელია იმ პირობით, რომ პროგრამაში სტუდენტთა მიღების წინაპირობად გამოკვეთილად გაჩნდება ინგლისური ენის ცოდნა არა ნაკლებ B2 დონეზე
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ შინაარსობრივად რთული, დატვირთული ინგლისურენოვანი სპეციალიზირებული ლიტერატურის პირობებში ყველა სტუდენტს გაუჭირდება პროგრამის თანაბრად დაძლევა. მით უმეტეს, შეხვედრისას VADS- ის ერთ-ერთმა სტუდენტმა განაცხადა, რომ ამერიკელ ლექტორს თარჯიმანი ჰყავდა. პროგრამის განხორციელებისას ვურჩევდით წიგნების სათანადო ნაწილების ბლოკური (თავებისა და გვერდების) ცალ-ცალკე თარგმნას, რასაც დაეთანხმა პროგრამის ხელმძღვანელი და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია; ○ სასურველია რომ, რადგან თავისუფალ უნივერსიტეტს სულ რვა მოქმედი პროგრამა აქვს, მათი ჩამონათვალი მაინც ყოფილიყო ხელმისაწვდომი არქიტექტურის სტუდენტთათვის. შესაძლებელი იქნებოდა არჩევით საგნებზე გამოყოფილი ჯამური კრედიტები - სულ 12 - გაზრდილიყო, თუნდაც ზოგიერთი სპეციალური საგნების კრედიტთა რაოდენობის ცოტათი შემცირების ხარჯზეც კი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თავისუფალ უნივერსიტეტში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო პრეზენტაციას, რომელიც წარმოადგინა კარიერული განვითარების მენეჯერმა და სტუდენტებთან და აბიტურიენტებთან ურთიერთობის კოორდინატორმა. მოსმენილი პრეზენტაცია ეხებოდა უნივერსიტეტში არსებულ ყველა ფაკულტეტის დასაქმების კვლევას. უნივერსიტეტს აქვს დამსაქმებულებთან ურთიერთობა და მრავლად აქვს გაფორმებული მემორანდუმი, როგორც საპროექტო ისე დეველოპერულ კომპანიებად, რომლებიც ითვლებიან პოტენციურ დამსაქმებლებად.

ექსპერტთა ჯგუფის შეკითხვაზე, თუ რა პერსპექტივა ჰქონდა კონკრეტულად არქიტექტურის და იმ მომენტისათვის VADS-ის ფაკულტეტის სტუდენტებს, ხაზგასმულად აღინიშნა რომ,VADS-ის სტუდენტები ძირითადად აკეთებდნენ კერძო პროექტებს და თვით დასაქმებით იყვნენ დაკავებულები.

რაც შეეხება სამუშაო გამოცდილებას, პროგრამაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სავალდებულო სამუშაო პრაქტიკას, და იგი ისეა გაწერილი რომ სტუდენტები უპასუხიმგებლოდ არ მიუდგნენ მას და პრაქტიკული სწავლების დროს, გრძელვადიანი მიზანი ქონდეთ. არქიტექტურის პროგრამაში სტუდენტის პრაქტიკა (საპროექტოში მუშაობა) სავალდებულოა და ამას უზრუნველყოფს უნივერსიტეტში კარიერული განვითარების მენეჯერი.

პრაქტიკის შემთხვევაში ხელფასი არ არის მნიშვნელოვანი და ეს სტუდენტის შეფასებაზე არ აისახება. პრეზენტაციის ავტორთა განცხადებით, უნივერსიტეტის ბაზრის კვლევამ აჩვენა, რომ არქიტექტორების დასაქმების პერსპექტივა არსებობს და იგი საკმაოდ დიდია. ამავე დროს SWOT ანალიზის მიხედვით, ეს პერსპექტივა შეიძლება გაუარესდეს სამშენებლო სექტორის დაღმავლობით.

კარიერული განვითარების მენეჯერმა დაგვიდასტურა, რომ აკრედიტაციის შემთხვევაში, ისინი სერიოზულად დაიწყებდნენ მუშაობას, არქიტექტორთა დამსაქმებლებთან ურთიერთობების დასაწყებად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- SWOT
- პროგრამა
- სილაბუსები
- კარიერული განვითარების მენეჯერის და სტუდენტებთან და აბიტურიენტებთან ურთიერთობის კოორდინატორის პრეზენტაცია.
- საბაზრო კვლევა.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): თავისუფალი უნივერსიტეტის კარიერული განვითარების მენეჯერის და სტუდენტებთან და აბიტურიენტებთან ურთიერთობის კოორდინატორის, სამსახურის გამართული მუშაობა, აწყობილი დამსაქმებელთან საკონტაქტო ბაზით. უნივერსიტეტთა კურსდამთავრებულთა სამუშაო ადგილებზე მუდმივი მონიტორინგით და გამართული სტატისტიკური მონაცემთა ბანკით.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ თავისუფალი უნივერსიტეტის შემოთავაზებული პროგრამა მოწონებულია დამსაქმებელთა საზოგადოებაში. ამის დამატებითი დასტურია უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული მემორანდუმები დამსაქმებლებთან (სულ 5).

შეხვედრისას, თავისუფალი უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ხაზგასმით გვიდასტურებდა, რომ დამსაქმებლები ჩართულები იყვნენ პროგრამის მომზადების პროცესში, მითუმეტეს რომ, არქიტექტურული სტუდიოს ზოგიერთი წამყვანი მასწავლებელი, თავად წარმოადგენს პრაქტიკაში მომუშავე არქიტექტურული კომპანიის ხელმძღვანელს და დაინტერესებული იყო ამ პროგრამის შედგენაში და მის წარმატებით განხორციელებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სილაბუსები ○ მემორანდუმები დამსაქმებლებთან ○ გასაუბრება ადმინისტრაციულ დ ააკადემიურ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე მიღება ხდება კომბინირებული წესით: შემოქმედებითი ტური და ერთიანი ეროვნული გამოცდები (სამი სავალდებულო საგანი: ზოგადი უნარები, ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა). შემოქმედებითი ტურის ჩატარების წესი მოცემულია პროგრამაზე თანდართულ დოკუმენტში. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად. რექტორი, რომელიც თავად არის პროგრამის შემოქმედებითი ნაწილის აქტიური მონაწილე, და მასთან ერთად, აკადემიური პერსონალი რომელსაც შეხვდა ექსპერტთა ჯგუფი ხაზს უსვამენ სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით პროგრამის მოქმედების პირველ პერიოდში აბიტურიენტთა შეზღუდული მიღების აუცილებლობას: სავარაუდოდ 15 სტუდენტი, მაგრამ არა უმეტეს 20 ისა. ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს როგორც პერსონალის ასევე სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მზარდ ინტერესს არქიტექტურის პროგრამის წარმატებული აკრედიტაციისადმი. თავისუფალი უნივერსიტეტის, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ აკადემიური პერსონალის კურიკულუმების შესწავლის შემდეგ და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შემდეგ, არ გაჩნდა არანაირი ეჭვი ამ პროგრამის დაძლევის და ექსპერტთა აზრით პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი ცოდნისა და უნარების

მქონე პირთა პროგრამაში ჩართვა, აუცილებელია 1.3. კომპონენტში გამოთქმული რეკომენდაციის გათვალისწინება (იხ. კომპონენტი 1.3. -ის ანალიზი და რეკომენდაცია).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ გასაუბრება ადმინისტრაციულ დ აკადემიურ პერსონალთან ○ გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფმა გააანალიზა და შეაფასა საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა, ყურადღება გაამახვილა სწავლის მეთოდებზე : ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობები და სიმულაციები. სტუდენტი გადის კომპოზიციის და პროექტირების კლასებს, საინჟინრო კლასებს, თეორიული განათლების კლასებს, და მასზეა დამოკიდებული, როგორ მოუყრის ამას თავს. ავტორები ეცადნენ კურიკულუმის დონეზე ყოფილიყო ეს განათლება და განათლების ეტაპები ინტეგრირებული. მაგ: თუ სემესტრში სტუდენტი სწავლობს ხის კონსტრუქციებს, იმის ნაცვლად რომ რამე გამოთვალოს, არქიტექტურის კლასში უნდა დააპროექტოს რაიმე ხისგან, ის რაც საინჟინრო კურსზეა გავლილი, გამოიყენოს არა ჰიპოთეტური გამოთვლით, არამედ რეალურად პროექტი გააკეთოს. მაგ: ბაუჰაუზის ეპოქის ელემენტები გამოიყენოს თავის პროექტში, როცა თეორიულად ეს აქვს ნასწავლი. ეს ასახულია შესაბამის

სილაბუსებში და დაკოორდინირებულია ლექტორებს შორის. სტუდენტები კონსულტაციისათვის წერენ სხვადასხვა პლატფორმებზე და დამატებით სემინარებს ნიშნავენ ხოლმე, ძირითადად შაბათ დღეს. ლექტორი უფლებამოსილია სასწავლო პროცესში გამოიყენოს ისეთი მეთოდი, რომელიც პროგრამაში არ არის მითითებული. განსხვავებული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, ინფორმაცია მიეთითება სილაბუსში. ლექტორები და სტუდენტები ჩაბმულები არიან ჯგუფურ მუშაობაში, თანამშრომლობით სწავლაში. ყოველივე ეს, თვითშეფასების ჯგუფის აზრით, უზრუნველყოფს ეფექტურ და ეფექტიან სწავლას და პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამებით, ○ სილაბუსებით, ○ გასაუბრებით
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გასაუბრების დროს და თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, ექსპერთა ჯგუფს გაუჩნდა მოსაზრება, რომ დასაზუსტებელია არჩევითი საგნები. ცუდი არ იქნებოდა,

უნივერსიტეტის რვა მოქმედი პროგრამის ჩამონათვალი სტუდენტებისათვის ყოფილიყო პროგრამითვე მიწოდებული. ექსპერთთა ჯგუფს მიაჩნია, რომ შესაძლებელი იქნებოდა არჩევით საგნებზე გამოყოფილი ჯამური კრედიტები 12-ზე მეტიც კი ყოფილიყო, თუნდაც ზოგიერთი სპეციალური საგნის კრედიტების რაოდენობის შემცირების ხარჯზე. პროგრამის სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი საგნები ორიენტირებულია სწავლის პროცესის წარმართვაზე და არქიტექტურის ბაკალავრის მომზადებაზე, ვკითხულობთ თვითშეფასების ანგარიშში, თუმცა ამ საგნებს: ეკონომიკის საფუძვლები, თანამედროვე პოლიტიკური იდეოლოგიები, ლოგიკა, საყოველთაო მათემატიკა, მსოფლიო ისტორია და საქართველო, პროგრამის მიმართულება სინამდვილეში მიჰყავს, ექსპერტა ჯგუფის წევრთა აზრით, სამაგისტრო საფეხურისკენ. თავისუფალი უნივერსიტეტის პროგრამის ხელმძღვანელები თვლიან, რომ ზემოაღნიშნული საერთო განათლების საგნები საჭიროა ბაკალავრიატის დონეზე. შესაძლებელია შეედავო ამ პოზიციას, მაგრამ ამ საგნების შეყვანა ბაკალავრიატის პროგრამაში არ წარმოადგენს საფუძველს, რომ პროგრამა შეუსაბამოდ გამოაცხადო. ზოგადად, კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო კურსები თანმიმდევრულად და ლოგიკურად არის დალაგებული. სილაბუსებში მითითებულია პრერეკვიზიტები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამით, ○ სილაბუსებით. ○ გასაუბრებით
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის

შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ექსპერთა ჯგუფი იზიარებს თვითშეფასების ანგარიშში აღწერილ ზოგადსაუნივერსიტეტო მეთოდებს, რომელთა საფუძველზე მოწესრიგებულია შეფასების კრიტერიუმები. სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს შესაბამისი კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით შეფასების სისტემა შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილს, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ წესს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამით, ○ სილაბუსებით; ○ თვითშეფასების ანგარიშით
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ექსპერტთა ჯგუფი დეტალურად გაეცნო პროგრამის სილაბუსებს, თვითშეფასების ანგარიშს და პროგრამის სუსტ და ძლიერ მხარეებს, სადაც, ავტორთა აზრით სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები,

რომლებიც დეტალურადაა გაწერილი საგანმანათლებლო პროგრამაში და სასწავლო კურსების / კომპონენტის / პრაქტიკის სილაბუსებში. ისინი თვლიან, რომ სტუდენტი იღებს შესაბამის უკუკავშირს პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალისაგან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამით, ○ სილაბუსებით,
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას,

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აღსანიშნავია, რომ შესაფასებელი პროგრამა ახალია და ამ პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტს არ ყავს და ვერ ეყოლება კურსდამთავრებულები, ან ამ ფაკულტეტის სტუდენტები. არქიტექტურამი შესაფასებელი ახალი საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, სტუდენტების მიღწევების და მათთან ინდივიდუალური მუშაობის შეფასების ობიექტურობისათვის, ექსპერტთა ჯგუფი, შეხვდა თავისუფალი უნივერსიტეტის ე.წ. VADS-ის (Visual Arts and Design School) ფაკულტეტის, ბაკალავრიატის სტუდენტებს. (პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში შემდგომში VAADS-ის ფაკულტეტის სტუდენტებს - Visual Arts, Architecture & Design School) აგრეთვე გაესაუბრა ამავე უნივერსიტეტის პარალელური პროგრამის ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტის 2013 წლის, ბაკალავრიატის კურსდამთავრებულ სტუდენტებს. გასაუბრების შედეგად ექსპერტთა ჯგუფს, ფაკულტეტის ახალ პროგრამაზე ჩამოუყალიბდა ადეკვატური და ობიექტური წარმოდგენა.

სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან გასაუბრების შედეგად - აგრეთვე, უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან, სადაც წარმოდგენილია სემესტრული გეგმა და სილაბუსები (რომელიც დეტალურადაა გაწერილი), დასტურდება ის მოსაზრება, რომ ყოველი სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისთვის ყველა საჭირო ინფორმაციას. სტუდენტს სასწავლო წლის დაწყებიდან ელექტრონულად მიეწოდება მის მიერ შერჩეული პროგრამის ფარგლებში სემესტრული გზამკვლევი.

ახალი წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში, სტუდენტს აქვს საშუალება, ისარგებლოს უნივესიტეტის შიდა მობილობით, რასაც ხელს უწყობს პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული შერჩეული საგნების ნაწილი. სტუდენტი ღებულობს ადმინისტრაციისგან და აკადემიური პერსონალისგან სრულ მხარდაჭერას და მისთვის მარტივი ხდება თავისი პროფილის განსაზღვრა. ყოველი სტუდენტისთვის შესაძლებელია აკადემიურ პერსონალთან ურთიერთობა როგორც ელექტრონულად, ისევე სტუდენტების მტკიცებით მათთვის არასდროს ყოფილა პრობლემა პირადად პედაგოგთან გასაუბრებით მიეღოთ მათთვის საჭირო დახმარება.

სტუდენტების მიღწევების გაუმჯობესებას ხელს უწყობს უნივერსიტეტში არსებული ინფორმაციის გაცვლის და სწავლების მექანიზმი. სტუდენტები ადასტურებენ უნივერსიტეტში ყოველწლიურ ცვლილებას უკეთესობისკენ. მათ აქვთ საშუალება ანონიმურად შეაფასონ, როგორც კონკრეტული საგანი ისე განაცხადონ ნებისმიერი სახის პრეტენზია უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურში. განცხადება განიხილება და შემდგომში მისი ადეკვატურობის შესაფერისი გადაწყვეტილებაა მიღებული. სტუდენტების თქმით მათი მხრიდან უკმაყოფილების შემთხვევაში კონსესუსი ყოველთვის იყო მიღწეული და უნივერსიტეტის მხრიდან გაუმჯობესებისკენ სწრაფვა აისახება სტუდენტებთან მჭიდრო ურთიერთობით და მათი აზრის გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ პროგრამა ○ გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ○ გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ○ გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ○ სემესტრული გეგმა
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის, პროგრამის და კონკრეტული სილაბუსების მიხედვით, აკადემიური პერსონალის სამუშაო გრაფიკი გულისხმობს სტუდენტებთან ინდივიდუალურ მუშაობას. საკონსულტაციო დღეები და საათები დგინდება როგორც, ინდივიდუალურად სტუდენტებთან პირადი სურვილის გათვალიწინებით, ისევე სილაბუსების ფარგლებში გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა რომელიც შესაძლებელია დადგინდეს სტუდიაში მუშაობის დროს. ყოველი ეს მტკიცდება არამარტო, უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციით, არამედ ადგილზე ვიზიტის დროს სტუდენტებთან თუ აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად. სტუდენტების ინფორმაციით, პროგრამაში არსებული დაგეგმილი საკონსულტაციო საათების გარდა, ყოველი საგნის პროფესორთან შესაძლებელია ინდივიდუალურად საკონსულტაციო საათებზე წინასწარ შეთანხმება და ინდივიდუალურად მათთან მუშაობა. თუმცა VAD-ის სტუდენტების განმარტებით, ამის საჭიროება არ არის,

რადგან დიზაინერის, ისევე როგორც არქიტექტორის პროფესიიდან გამომდინარე, რომელიც ითვალისწინებს სტუდიაში, ან სახელოსნოში ჯგუფურ მუშაობას სტუდენტს აქვს საკმარისი დროის რესურსი, გაესაუბროს ხელმძღვანელს და მიიღოს მისთვის საჭირო იმფორმაცია. რაც შეეხება არაპროფესიულ, ანუ თეორიული საგნების სწავლებას, პროფესორების მხრიდან არის სრული მხარდაჭერა, ნებისმიერ დაინტერესებულ სტუდენტს დამატებით მიაწოდონ მოთხოვნილი ინფორმაცია, თუ ასეთ მოთხოვნას ექნება ადგილი.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას, საბაკალავრო პროგრამაზე არქიტექტურაში, წინასწარი კვლევის საფუძველზე, თავისუფალი უნივერსიტეტი ვარაუდობს არაუმეტეს 15-20 სტუდენტის მიღებას. პროგრამის მაშტაბი არაა ძალიან დიდი და არ არის მორგებული უნივერსიტეტის მოგების გაზრდაზე. რექტორის მტკიცებით უნივერსიტეტის პოლიტიკაა ფინანსური მდგრადობა, და არა ფინანსური მოგება. მათი მტკიცებით ეს აისახება მათ კურსდამთავრებულებზე მაღალი ხარისხის განათლებით.

სტუდენტების რაოდენობა ადეკვატურია უნივერსიტეტში არსებულ სასწავლო სივრცესთან, და იმ რესურსებთან, რომელიც კონკრეტული საბაკალავრო პროგრამისთვის გამოყო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ. თავისუფალი უნივერსიტეტის პოლიტიკას ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფი და თვლის რომ ამ პროგრამაში სტუდენტების რაოდენობა, ადეკვატურადაა მორგებული მაღალი ხარისხის სწავლებისთვის სავალდებულო მოთხოვნას. ექსპერტთა ჯგუფის აზრით არქიტექტურაში საბაკალავრო პროგრამის სიმცირე მხოლოდ პროგრამის სიძლიერეზეა ორიენტირებული და საშუალებას მისცემს უფრო მარტივად დაიგეგმოს ინდივიდუალური სამუშაო და საკონსულტაციო საათები. აგრეთვე მარტივად მოხერხდება ამ სტუდენტების დასაქმება, რაც გათვალისწინებულია არქიტექტურის პროგრამის VII სემესტრის ფარგლებში. სტუდენტებისთვის უფრო მარტივი იქნება ინდივიდუალური მუშაობა ხელმძღვანელებთან, რაც ხელს უწყობს მათ დაახლოებას აკადემიურ პერონალთან და პროფესორ-სტუდენტს შორის ინფორმაციის გაცვლას.

სტუდენტებთან ინდივიდუალურად მუშაობს არამარტო აკადემიური ნაწილი არამედ სტუდენტების დასაქმების სამსახურიც. ყოველ სტუდენტს საშუალება აქვს გაესაუბროს დამსაქმებლებს უნივერსიტეტში ორგანიზებულ ღონისძიებებში რაც მათ წინასწარ ამზადებს უნივერსიტეტის შემდგომი ეტაპებისთვის. აგრეთვე სპეციალური განყოფილება, რომელიც აკონტროლებს და აღრიცხავს სტუდენტების დასაქმებას, მათ უწევს ყველა საჭირო დახმარებას თუ კონსულტაციას, რათა მათ ისწავლონ თავისი თავის წარმოჩენა: გასაუბრებებზე, შეხვედრებზე აგრეთვე ისწავლონ საუკეთესო სამსახურის მოძიება და გაიუმჯობესონ აკადემიური წერა. აგრეთვე ამ განყოფილებას აქვს საშუალება სტუდენტებს მუდმივად მიაწოდოს განახლებული ინფორმაცია საჭირო ვაკანსიებზე რაც ხშირ შემთხვევებში დამსაქმებლების მხრიდან, მხოლოდ თავისუფალი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებისთვისაა ხელმისაწვდომი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამა
- გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
- სემესტრული გეგმა

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით, თვითშეფასების ანგარიშიდან, პროგრამიდან გამომდინარე და უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან, სადაც წარმოდგენილია სემესტრული გეგმა და სილაბუსები, მტკიცდება რომ უნივერსიტეტი მრავალმხრივ ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას კვლევითი პროექტების განხორციელებაში. გარდა იმისა რომ, კვლევითი პროექტები, ახალი არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის ნაწილია და პროგრამაში მისი მნიშვნელობა ცალსახადაა ხაზგასმული, პროგრამის ფარგლებს გარეთ, სტუდენტებს აქვთ საშუალება მიიღონ მონაწილეობა უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ არაერთ ღონისძიებაში. სტუდენტების თქმით ეს, კურიკულუმისგან დამოუკიდებელ ინიციატივებში მონაწილეობა, ხელს უწყობს მათი პრაქტიკული უნარების განვითარებას.

თავისუფალი უნივერსიტეტის დათვალიერების დროს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს რომ სტუდენტებისთვის გამოყოფილია დამოუკიდებელი სმუშაო ზონები - ე.წ. სტუდენტური ოფისები, სადაც სტუდენტებს საშუალება აქვთ იმეცადინონ ან/და იმუშაონ ჯგუფურ პროექტებზე. ამ სტუდენტური ოფისების არსებობა ხაზგასმულად

იყო აღნიშნული კურსდამთავრებულთა მიერ გასაუბრების დროს, რადგან მათი თქმით, თავისუფალი უნივერსიტეტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი არის ის ეკოსისტემა რომელიც იქ არის შექმნილი. ერთ სივრცეში მუშაობით, სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებს საშუალება აქვთ გაეცნონ სხვადასხვა პროფესიებს. მათ საშუალება ეძლევათ ერთმანეთისგან ისწავლონ და დაამყარონ ახალი კონტაქტები, რომელიც ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებული სტუდენტების თქმით არაერთხელ გამოადგათ თავიანთ საქმიანობაში. უნივერსიტეტი უქმნის სტუდენტებს დამოუკიდებელი მუშაობისთვის ყველა საჭირო პირობას, რაც ექსპერტთა ჯგუფის აზრით ნამდვილად დასაფასებელია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ პროგრამა ○ გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ○ გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ○ გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ○ სემესტრული გეგმა
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ინტერნაციონალიზაცია არამარტო უნივერსიტეტის პოლიტიკის ნაწილია, არამედ არქიტექტურაში, კონკრეტული საბაკალავრო პროგრამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. ხაზგასმით უნდა გამოიყოს ის გარემოება, რომ

უნივერსიტეტის პოლიტიკის ნაწილია, მხოლოდ ქართულენოვანი პროგრამების ჩამოყალიბება, მაგრამ მიუხედავად ამ პოლიტიკისა, პროგრამაში მრავლადაა საგნები რომელიც ორ ენაზე სწავლებით (ინგლისურ-ქართულით) გამოირჩევა. ინგლისური ენის ცოდნა სწავლებაზე წინაპირობას არ წარმოადგენს, მაგრამ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად, აგრეთვე თავისუფალი უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან დ აკადემიურ პერსონალთან საუბრის შედეგად, თავისუფლად შეიძლება ითქვას რომ ინგლისური ენის ცოდნა ფაკულტეტზე მაღალია. წარმოდგენილი პროგრამა პირველივე სემესტრიდან ითვალისწინებს ინგლისური ენის სწავლებას. სტუდენტებისთვის არაერთი სასწავლო ლიტერატურა არის ინგლისურ ენაზე. უნივერსიტეტში მრავლად ეწყობა უცხო ენაზე სემინარები და პრაქტიკები. უნივერსიტეტს აქვს შესაძლებლობა და ყველა ადამიანური თუ მატერიალური რესურსი, მოიწვიოს უცხოენოვანი პროფესორები, და ზოგადად ხელი შეუწყოს სტუდენტებს საერთაშორისო დონის განათლების მიღებაში. ხშირია კონფერენციები როგორც ქართულ ისევე ინგლისურ ენაზე. სემინარის წარმართვის ენა (ინგლისური ან ქართული) დამოკიდებულია მოწვეულ პროფესორზე. და არ უშლის ამ პროგრამის ფარგლებში ინლისურ სემინარებზე სტუდენტების აქტიურ ჩართულობას. რაც დასაფასებელია კონკრეტული პროგრამის შემთხვევაში რადგან პროგრამა არის ქართულ ენოვანი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა			

მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის დღევანდელი ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულიად დამაკმაყოფილებელია დაგეგმლი პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. შექმნილია არქიტექტურული პროექტირების სტუდიებისთვის საჭირო სივრცეები. ისინი მზა მდგომარეობაშია და განთავსებულია ვიზუალური ხელოვნებისა და დიზაინის სკოლის (VADS) ცალკე მდგომ შენობაში. ექსპერტთა ჯგუფის წევრთა აზრით, აღნიშნული სტუდიო და საკლასო სათავსოები, ისევე როგორც თავისუფალი უნივერსიტეტის არსებული ნაწილები, რომლებიც მოემსახურება ახალ პროგრამას (აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, კაფეტერია და ა.შ.), მზადაა არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის უახლოეს დროს მისაღებად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის შენობებისა და ცალკეული სათავსოების დათვალიერებით ○ ვიზუალური ხელოვნებისა და დიზაინის სკოლის (VADS) სათავსოების დათვალიერებით ○ ბიბლიოთეკის, კაფეტერიას და სხვა მომსახურე ნაწილთა მდგომარეობით
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც შეხვედრაზე რექტორმა აღნიშნა, ვიზუალური ხელოვნებისა და დიზაინის პროგრამა ამოქმედდა 2014 წელს. 2017-2018 სასწავლო წელს ეყოლებათ პირველი კურდამთავრებული. კარგახანია დაიწყეს არქიტექტურის პროგრამაზე ზრუნვა და საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი გამოუივიდათ ფიქრის და მომზადების. ისინი პროგრამის ხელმძღვანელის, ჯესი ვოგლერის თანხმობას ელოდებოდნენ, რომ იგი მინიმუმ 4 წლით საქართველოში გადმოსულიყო საცხოვრებლად. ჯესი ვოგლერი, ვოშინგტონის უნივერსიტეტის ტენუირებული პროფესორი, ამჯერად უკვე თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორია.

გასაუბრებით და დოკუმენტაციის შესწავლით, როგორიც არის: აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ წარმოდგენელი უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომები, პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი საბუთები, გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები, მონოგრაფიები, პუბლიკაციები და სხვა საჭირო დოკუმენტაცია, დგინდება ამ პერსონალის სასწვლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რომელშიც ისინი მონაწილეობენ.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, თუ რამდენად ფლობენ ისინი შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება მათი სამეცნიერო ხარისხებით, სამეცნიერო ნაშრომებით, პრაქტიკული გამოცდილებით და თვლის, რომ შეესაბამება მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამა
- გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.3 პროგრამის განხორციელება ხელმეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ვიზიტის დროს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით, დამხმარე და ძირითად აკადემიურ პერსონალთან შეხვედრით, ასევე თვითშეფასების ანგარიშზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო რაოდენობის და კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით: ადმინისტრაციული პერსონალი - დეკანი, დეკანის მოადგილე, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები, პროგრამის ხელმძღვანელი (კოორდინატორი), დამხმარე პერსონალი - სასწავლო პროცესის ადმინისტრატორები, ბიბლიოთეკის პერსონალი, ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილების პერსონალი. პროგრამაში ჩართულ თითოეულ პირს - აკადემიურ, მოწვეულ, თუ დამხმარე პერსონალს აქვს სათანადო განათლება და გამოცდილება საგანმანათლებლო პროგრამის მაღალ ხარისხზე განხორციელების უზრუნველსაყოფად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ვიზიტით ○ გასაუბრებით ○ თვითშეფასების ანგარიშით, სილაბუსებით, ○ პროგრამით
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობამია მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო მასალას და თვლის, რომ ის არის აქტუალური და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო მასალები ხელმისაწვდომია მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის. ადგილზე მოხდა დათვალიერება ბიბლიოთეკისა, რომელიც განთავსებულია სასწავლო კორპუსში და სტუდენტებისა და პერსონალისთვის ხელმისაწვდომია. ბიბლიოთეკა აღჭურვილია თანამედროვე ინფრასტრუქტურით. სტუდენტს აქვთ წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ–კვლევით და საბიბლიოთეკო ბაზებზე. წიგნების შეძენა ხდება ბიბლიოთეკისთვის უახლესი გამოცემების გამოსვლისთანავე. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გააჩნია ბეჭდურ და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი, ასევე სხვა სასწავლო მასალა, რომლებიც უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებული ლიტერატურის სტუდენტთათვის ხელმისაწვდომობას. უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდით; ○ პროგრამით, სილაბუსებით; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდით.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ვიზიტის დროს, ადმინისტრაციასთან შეხვედრისას რექტორმა განაცხადა, რომ პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია ფინანსურად: უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სათანადო ფინანსური რესურსის გამოყოფას იმ მიზნით, რომ არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდეს მაღალკვალიფიციური პერსონალის მიერ საუკეთესო საგანმანათლებლო გარემოში. აღსანიშნავია, რომ არქიტექტურის ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც წლიური მიღება საწყისი პერიოდისათვის გათვალისწინებულია 15-დან 20 სტუდენტამდე, რომლისთვისაც ამ ეტაპზე არ იგეგმება მაგისტრატურის პროგრამის დამატება, და რომელიც იმოქმედებს თავისუფალ უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის ამჟამად მიღებული ანაზღაურების (რომელიც, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის შენიშვნით, უფრო მაღალია, ვიდრე ქვეყანის უმაღლესი განათლების სასწავლო დაწესებულებებში სამუალოდაა მიღებული) პირობებში - ყველა ამ მიზეზთა გამო, თუნდაც სასტარტო პერიოდში, ვერ იქნება ფინანსურად დამოუკიდებელი. გამოირკვა, რომ თავისუფალ უნივერსიტეტს გააჩნია ერთიანი ბიუჯეტი. მასში ზოგიერთი პროგრამა განსაკუთრებით შემოსავლიანია - მაგ., ბიზნესის სკოლა (ESM) - თუმცა სხვები, შესაძლოა, იყოს ნაკლებად შემოსავლიანი. მაგრამ რადგან „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი არის არასახელმწიფო არამომგებიანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება", როგორც ეს მის ვებგვერდზეა გაცხადებული, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მხარს უჭერს განათლების ხარისხსა და არა რაოდენობრივ მაჩვენებლებს (სტუდენტთა რიცხვი, შემოსავალი და ა.შ.) და ამიტომ მზადაა გამოიყენოს არსებული შიდასაუნივერსიტეტო საბიუჯეტო რესურსები და ფინანსურად სრულად უზრუნველყოს ახალი პროგრამა. ექსპერთა ჯგუფის წევრთა აზრით, ამგვარი მიდგომა ახალი პროგრამის შემოღების პირობებში მისაღებია და შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ უნივერსიტეტის ბიუჯეტით; ○ გასაუბრებით ადმინისტრაციასთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლს
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტები ადასტურებენ რომ მათ აქვთ საშუალება ანონიმურად შეაფასონ, როგორც კონკრეტული საგანი ან განაცხადონ ნებისმიერი სახის პრეტენზია როგორც პირადად დეკანთან, პედაგოგთან, ან პროგრამის ხელმძღვანელთან მისვლით, ისევე უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურში. თვითშეფასების ანგარიშზე დაყრდნობით და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან გასაუბრებით, ექსპერტთა

ჯგუფი დარწმუნდა რომ თავისუფალ უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს აქვს ყველა საჭირო რესურსი რათა მეუწყოს პროგრამის გაუმჯობესებას ხელი.

უნივერსიტეტი ატარებს სხვადასხვა სახის გამოკითხვას, ე.წ. SurveyMonkey-ს პლაფორმის მეშვეობით. უნივერსიტეტს, აქვს შეძენილი აღნიშნული პლატფორმის Platinum ვერსია. სტუდენტების მტკიცებით ეს სისტემა მუშაობს ყოველგვარი ნაკლის გარეშე, და მათ მიერ არ არსებობს ისეთი სახის პრეტენზიები, რომელიც მათი აზრით უნივერსიტეტმა უნდა გაითვალისწინოს. აღნიშნული სისტემის დახმარებით, შესაძლებელია ანონიმურად შეფასდეს პროგრამა, პედაგოგი, ზოგადად უნივერსიტეტი თუ ჩატარდეს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერ სახის გამოკითხვა.

ხარისხის მართვის სამსახურის განცხადებით, ანონიმური შეფასებები სემესტრის განმავლობაში რამოდენიმეჯერ ტარდება, შეფასების კრიტერიუმები ცვალებადია. თვითსეფასების ანგარიშში განცხადებულია: *„კვლევები ეხება სასწავლო პროცესის როგორც ტექნიკურ, ისე შინაარსობრივ მხარეს. კითხვარების დამუშავების შემდეგ ხდება შედეგების ანალიზი, რომელიც გვეხმარება სასწავლო პროცესის დაგეგმვაშიც და სილაბუსების განახლებამიც. ასევე, ლექტორს ეხმარება დაფიქრდეს სწავლების მეთოდებზე, მიდგომებზე, სასწავლო კურსის შინაარსსა თუ შეფასების სისტემაზე."*

აქვე უნდა აღინიშნოს რომ ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა ახალია, ამ პროგრამის შედეგების განხილვა ჯერ შეუძლებელია, თუმცა ექსპერთა ჯგუფის ვიზიტის დროს უნივერსიტეტის პარალელური პროგრამებიდან წარმოდგენილი იყო ხარისხის შეფასების ელექტრონული კვლევის დოკუმენტები - რომელიც ეხებოდა უკვე აკრედიტირებული პროგრამების კურსდამთავრებული სტუდენტების წარმატებებს და უნივერსიტეტის მჭიდრო ურთიერთობებს დამსაქმებლებთან, რაც ადასტურებს მიზანმიმართულ სწრაფვას თავისუფალი უნივერსიტეტის ხარისხის გაუმჯობესებისკენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან
- გასაუბრება ხარისხის მართვის სამსახურთან
- გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- კურსდამთავრებულთა დასაქმების ელექტრონული დოკუმენტაცია
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშზე დაყრდნობით, შიდა და გარე შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება თავისუფალი უნივერსიტეტის ახალი არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის გასაუმჯობესებლად. ამავე დოკუმენტში განცხადებულია: *„გარე შეფასება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ხარისხის განვითარებისთვის. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი მიესალმება peer review პროცესს და ითვალისწინებს ყველა ღირებულ რეკომენდაციას."* შესაფასებელი პროგრამა ახალია. ამიტომ მისი შედეგების განხილვა შეუძლებელია, თუმცა გასაუბრებების შედეგად ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნებულია, რომ თავისუფალი უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის კომპეტენცია მაღალია და შეძლებს ახალი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესებას. ყოველი ამის მტკიცებულებად შეიძლება მიჩნეული იყოს ამ უნივერსიტეტის წარმატებები დასაქმების ბაზარზე და მათი უკვე აკრედიტირებული პროგრამები. აგრეთვე სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად მათი ერთსულოვანი დადებითი დამოკიდებულება უნივერსიტეტის პოლიტიკის მიმართ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ გასაუბრებით ○ ვებ-გვერდით ○ კარიერული განვითარების მენეჯერისა და სტუდენტებთან და აბიტურიენტებთან ურთიერთობის კოორდინატორის პრეზენტაციას
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობამია მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობამია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობამია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 36

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობამია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობამია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობამი მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓		
საბოლოო შეფასება	✓		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: **თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი**

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: **თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი**

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 36

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓		
საბოლოო შეფასება	✓		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: